ეროვნული ბიბლიოთეკა

დროება

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 112. კვირა, 24 მაისი 1909 წ. დამატების № 20.

ᲒᲕᲘᲨᲕᲔᲚᲔᲗ, ᲕᲘᲚᲣᲰᲔᲒᲘᲗ! — ქანდაკება რობერტ სტიგელისა.

ᲭᲠᲣᲚᲘ ᲑᲔᲠᲐᲡ ᲝᲛᲘ ᲥᲘᲡᲢᲔᲑᲗᲐᲜ.

ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲘ

(ᲩᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲡᲝᲤ. ᲒᲝᲡᲢᲘᲑᲔᲨᲘ).

ჩამოემტერა ქისტებსა
ᲭᲠᲣᲚᲘ ᲑᲔᲠᲐᲘ ᲩᲝᲮᲔᲚᲘ;
ქისტების სამტროთა ზრდიდა
ᲑᲔᲠᲐᲡᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲨᲝᲑᲔᲚᲘ.
გახდა ქისტების ჯალათი,
იმათი სისხლის მშრობელი;
თუ შეჰხვდის, დაფანტის ქისტნი,
ვით ქარმა ჩალა-ფოთელი.
მას წელზედ ერტყა ფრანგული
ვაჟკაცის მკლავ-მმაგრობელი,
მხარზედ ეკიდა სიათა
ტყვია თვალისა მსწრობელი,
მით გაუშხამის ქისტებსა
იმათი წუთი-სოფელი.
რათ მტრობდა ᲑᲔᲠᲐ ᲥᲘᲡᲢᲔᲑᲡᲐ,
ნუ თუ არა ხართ მცნობელი?
მათ შორის დიდი დავაა,
განა თუ ცოტა ოდენი!
ვით ბარად, ეგრე მთიელთა
მტერი გვყვავს თმათა ოდენი.
ტყვედ წაიყვანეს ქისტებმა
ᲑᲔᲠᲐᲘᲡ ᲑᲘᲫᲐᲨᲕᲘᲚᲘᲚᲔᲑᲘ;
შეიქნა ქალ-ვაჟის ძებნა,—
ამბავი მოსახილები;
ᲩᲕᲔᲜ თუ გვეგონა არაგვში
ქარისგან გადაყრილები;
დიდხანს ეძებდნენ დაკარგულთ
ესე გზა აწეწილები.
ᲑᲝᲚᲝᲡ ᲕᲘᲤᲘᲥᲠᲔᲗ-ᲘᲛ, ᲑᲐᲚᲦᲔᲑᲡ
მოიპარავდნენ ღილღვები.
დავბრუნდით, შინ წამოვედით
გულზედ ხელ დაკრეფილები.
ᲑᲔᲠᲐᲛ ᲮᲔᲕᲡᲣᲠᲔᲗᲡ ᲒᲖᲐ ᲓᲐᲓᲝ,
ესტუმრა თამარიძესა;
სთხოვა,—ᲩᲔᲛᲘ ᲛᲢᲠᲘᲡ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ,
ძმაო, მასწავლე ღვთის მზესა.
მსმენია, თამარიძეო,
შენც რკინის გული გიდევსა,
წამართვეს ᲑᲘᲫᲐᲨᲕᲘᲚᲘᲚᲔᲑᲘ,
მას ვერ მოუთმენ ქისტებსა.
ავათ მორჩა, თუ კარგათა,
მათი თათბირი იმ დღესა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც მთიელთა წესია,
ამრიგათ დაიფიცესა:
ღვინოში ვერცხლსა ჩასთლიან,
მას ეძახიან ფის ვერცხლსა;
იმითი ძმობილდებიან,
ორნივე იმას სმიდესა.
აქვე ორთავე ძმობილთა
სიტყვა ერთმანეთს მისცესა.
ხევსურმა უთხრა ბერასა:
ვიცხოვროთ, როგორც ძმანია,
ვიყვნეთ სუყველა საქმეში
ერთ-ურთის თანახმანია;
წავართვათ ერთი ორათა,
რაც ღილღვებს წაუტანია;
მათ ჩვენიც ბევრი წაუსხამთ
ცხენი, ძროხა და ცხვარია.
აღარ ვიშიშვი შენთანა,
რას გვიზამს მათი ხმალია!
ჩვენზედ წყალობით ყოფილა
ჩვენი ხახმატის ჯვარია;
ხევსურთა ძმათ და საშველათ
ბერაი მოუყვანია.
რაც ვეძებ კარგსა ძმობილსა,
განა ცოტაი ხანია?
რაც ზურგით იზიდებოდა,
გუდაში პურიც ჩადვესა;
აგრეთვე ტყვია-წამალი,
რომელიც ომში არგებსა.
წინ თამარიძე გაუძღვის,
უკან ბერაი გაზდევსა.
გზა დაულოცეს ხევსურთა,
ქუდები მოიხადესა:
ორივეს ღმერთის წყალობა
საცა წახვიდეთ, წაგყვესთა.
  თამარიძე და ბერაი
მთაზედ ავიდნენ მას დღესა;
თქვეს: არა გვნახონ ქისტებმა,—
ბინდამდე მოიცადესა.
ბერასა ასე ურჩია ხევსურმა თამარიძემა:
აქ ჩავესაფრნეთ კლდეებში,
მინამდე შემობინდება,
დღისით ნუ წავალთ, ძმობილო,
ვა თუ შეგვიტყონ ქისტებმა,
ყოველის მხრით გზას შეგვიკვრენ,
შინ მისვლა გაგვიჭირდება!
ბერამაც უთხრა ხევსურსა:
რაც ბრძანო, ეგრე იქნება,
გაუფთხილებელი კაცი
სამაგიეროს ითხოვსა.
მათ არ ეშინის მტერისა,
მათი ჯაბნობა ვინ თქოსა!
ეგრე შერივან მტრეებსა,
ვით ქორი ქათამს იყოსა,
თოფებში სდებენ ტყვიასა
დიდი კაკალის სიმსხოსა,
არ დააცდენენ ნიშანსა,
ცას გაფრენილიც იყოსა.
  აღმოსავლეთით ნამგზავრი
მზე დასავლეთში ჩავიდა,
ბუნებამ გლოვა მიიღო
და შეიმოსა შავითა;
მხეცთაც დასტოვეს ბუნაგი,
შესაფარისი თავისა,
აღარსად ჩიტი ჭიკჭიკებს,
აღარც ყორანი ჩხავისა,
მწყემსნიც მივიდნენ სოფლათა,
არსად ხმა ისმის მგზავრისა.
ღამდება. ტყენი და ველნი
შავითა იმოსებიან;
ღილ-ღოს სოფლისა მუშანი
შინისკენ ემზადებიან.
თამარიძემ უთხრა ბერას:



აკაკის იუბილეი სტამბოლში 26 აპრილს.

(იხ. «დროება» № 101)

აკაკის იუბილეი სტამბოლში 26 აპრილს.

(იხ. «დროება», № 101)

ეხლა კი შევიყარენით
ორანივ კაი ყმანია;
ქისტების ჯავრს ამოიყრის
ჩემი ფრანგული ხმალია.
  გამართეს სმა და სიმღერა,
ლუდი სვეს ჯიხვებითაო;
ამბობენ: ჩვენი მფარველი
უფალიმც იქნებისაო;
გვწყალობდეს ხახმატის ჯვარი
დუშმანი ქისტებისაო,
გაუწყდეთ ტყვია-წამალი
ღილღვებსა ღვთის ნებითაო,
ტიროდენ ცხელის ცრემლითა
დედანი ღილღვებისაო.—
ძმობილნი ასე ამობენ
ერთ ურთის იმედითაო;
ომს ბედვენ ხმლით და თოფითა,
განა თუ ისრებითაო.
გათავდა აქ რა სადილი,
საგზალი მოიმზადესა,
ფათერაკს წაეკიდება,
მტერი მოიგდებს ხელშია,
მოსისხლედ შეეჭიდება;
უგრძნობსა მაშინ არ არგებს
მეტი სიმძლავრე, დიდება;
ჭკვიანათ იგი ცნობილა,
ვინც მტერსა გაუფრთხილდება,
უგუნურს კაცსა, ლაჩარსა
კეთილი დაუმცირდება,
ვით ვირსა მჭლესა, უსუსურს
კეთილი დაუმცირდება;
მეომარი უგრძნობელი
სიკვდილს ზურგს ეეკიდება.
  ძმობილთ იმ დღეს კლდეში დაჰყვეს,
თვალით ხედვიდნენ ღილ-ღოსა,
მტრისგან მიუვალს სოფლებსა,
გზასა და ხევსა ვიწროსა;
მთასა გვერდიან-კლდიანსა,
არცა ერთგანა მინდორსა.
მიდის ძმობილი ძმობილით,
ეხლა ჩავიდეთ ძირსაო,
ქისტნი სულ სოფლად მივიდნენ,
შიში არ არის მტრისაო;
იმ დროს ვესტუმრნეთ ქისტებსა,
რომ აპირებდნენ ძილსაო,
სულ ყველა ტანთა გაიხდის,
იარაღს აიყრისაო,
მივეჭრნეთ ბანით, ვესროლოთ,
რისხვა დავმართოთ ღვთისაო.
ვეცადნეთ ჩვენც არ დაგვხოცონ,
დრონი ვიპოვნოთ ცდისაო,
ხალხმა ყვირილი არ შექნას,
ხმა გაგვივარდებისაო;
ჩქარა დაგვესხმიან თავსა
მდევარი ქისტებისაო;
თუ რომ დაგვხოცენ, გავხდებით
საჭმელი მძოვრებისაო
და თუ გადავრჩით, დავბრუნდეთ
უკანვე ამავ გზითაო.
ბერამ სთქვა: კარგი სიტყვა სთქვი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგადამც ჩემი თავია,
მე ჯერ ბალღი ვარ, რა ვიცი
ომისა უნახავია;
აწ კი გცნობ, ძმაო, შენ კიდევ
არა ხარ ომის ხამია,
ვინც შენ თათბირს დაიწუნებს,
ვაი იმისი ბრალია,
გამოვიდნენ და გასწყვიტეს
სიტყვა და საუბარია.
უშიშრად ჩამოიარნეს
კლდე ჩასავალი სალია;
ძირს ჩამოვიდნენ ძმობილნი,
გაჩერდნენ ცოტა ხანია;
შემდეგ იარეს ფარულად
იგი სოფლისა გზანია.
ეგრემცა შევლენ სოფელში,
ვერავინ დაჰკრას თვალია.
მიადგნენ ერთ სახლის კარსა,
ღია დაუხვდათ კარია,
სიმღერას რამეს იტყოდნენ
მათი კაცი და ქალია.
ქისტებმა რომ შემოხედეს,
ბინდი წაუათ თვალშია;
იცნეს, რომ ორი გურჯია,
ტანზედ ალმასი ასხია.
ბერაის ნაკრავი ხმალი
მასპინძელს მოხვდა თავშია;
სამტეროდ გამორევია
ეს ორი მგელი ცხვარშია.
ოცი სულის ქისტებისა
არც ერთი დარჩა კაცია,
ქისტების მარჯვენას სჯობდა
იმ ორი გურჯის ცაცია.
რომლითა გზითაც მოვლიან,
ეგრევე გამოიარეს,
ერთ წუთსა ოცი დახოცეს,
თავი არ დააზიანეს;
იმ სახლის სტუმარს-მასპინძელს
ცხოვრება გაუტიალეს;
ქისტების ბედისა ჩალხი
უკუღმა დაატრიალეს.
სოფელში რა გახდა ზათქი,
ბევრი იტირეს, იზარეს;
მათმა მდევარმა ქისტებმა
ცხრა გზას ეძებეს, იარეს.
ვერ ჰპოვეს, უკან დაბრუნდნენ,
თვალები მოიწყლიანეს,
მკვდარნი იტირნეს, დაჰყვედრეს,
თავნიმცა აუგიანეს:
ორათ გურჯათა აბჯარმა
ოცნი ვით დაგაჭკვიანეს.
წაიღეს თქვენი აბჯარი,
მთიულთა გაუზიარეს;
გვიმუხთლეს, ჩვენც გაგვეპარნეს,
ქარივით გაისრიალეს;
დიაცებივით გაგვხადეს,
ნაცარი დაგვინიავეს;
ვაჟ-კაცთ დაგვხურეს მანდილი,
ქალურად გაგვათმიანეს.
ღილღველთა მკვდრები დამარხეს
როგორც იმათი წესია,
დაბრუნდნენ, შეძვრნენ კოშკებში,
როგორც თაგვები ხვრელშია.
ერთადვე შამაიკრიბნენ,
ხარჯ გადიხადეს მკვდარისა,
ლუდი სვეს და ხორცი ჭამეს
კრავისა და ზვარაკისა.
შეზარხოშდნენ, კითხვა შექნეს
იმ ორისა მამაცისა:
ვინ იყო, საით ვინ გაჩნდა,
ამოგვწყვიტეს ღალატითა,—
ერთმანეთს ეკითხებიან,
ძმა ძმასა და მამა შვილსა;
ყველა ამობს, თუ არ ვიცით,
შეგვიტყვია არავისა,
ჩვენი მამანი, პაპანი
არ მომსწრალან ამა ჭირსა.
ცალ მხრივ დიაცნი დამსხდარან,
მათთან ვინმე ქალი ზისა;
იგი არა ჰგავს ქისტებსა,
მას ფერი აქვს გურჯისტნისა.
ეს ქალა იყო ჩოხელი,
ბიძაშვილი ბერაისა,
გუდა მაყრით მოყვანილი,
მოპარული ქისტებისა;

მომღერალი ქალი მარიამ ძნელაძისა.
(გარდაიცვალა 14 მაისს)

მის სოფლის სახელოვნისა
ცოლი იყო ბელადისა.
იგი ქალი ფეხზედ ადგა
და ქისტთ დაუკრა თავიო:
თქვენ იცით რჯულით გურჯი ვარ,
გუდამაყრელი ქალიო,
ტყვედ მყოფი თქვენსა წინაშე,
თქვენგანვე მონაპარიო;
იქ მყვანან გუდა მაყარში
დედ-მამანი და ძმანიო.
მაგრამ თქვენ მირჩევნისთ იმათ,
თქვენი ათის წლის მკვდარიცო,
ჩემი შვილები ვაჟკაცნი,
აგრეთვე ჩემი ქმარიცო.
თუ გამიგონებთ, მე გეტყვით,
ვინც თქვენი მტერი არისო:
იგია ჩემი ბიძის ძე,
ნურვინ გგონიათ სხვანიო,
ბერაი არის ჩოხელი
მის სახელი და გვარიო;
ჩემთან მოვიდა ხევსური
იმისი მონაგზავნიო;
მოკითხვა შემოეთვალა:
როგორ ხართ ძმა და დანიო;
მოციქულმა სთქვა სიტყვანი
ეგრე შვიდიოთ-რვანიო.
მეც უთხარ ჩემი ამბავი,
როგორც მე შემეხებოდა;
გითხრათ მართალი: მოკითხვა
განა კი მიამებოდა!
თუ კი მე არა ვზრუნავდი,
იმათ რა ენაღვლებოდა!
იგი ხევსური სიტყვასა
ამ რიგათ მეუბნებოდა:
ბიძის ძე წამოგეზარდა,
გახარებ, გიამებოდა
თუმცა აქამდის სამშობლოს
ნახვაი გენატრებოდა,
მოვა ბერაი, წაგიყვანს,
თავი რათ გესაწყლებოდა.
შენ წასაყვანათ ბერაი
ეხლავე ემზადებოდა,
მაგრამა ცხადათ ვერ მოვა,
ვერსაით შაგეყრებოდა.
კვლავ მითხრა: ძმაო, შენ წადი,—
სიტყვითა მევედრებოდა,—
ჩემ ბიძის ძეთა ჰკითხეო,
გულში რა ებადებოდა;
თუ უნდეს, წავალ, მოვასხამ,
თავიმც არ მებრალებოდა.
მე შეუთვალე ბერასა:
ჩემი ერთგული ძმა ხარო,
მადლობელი ვარ შენს გულსა,
ჩემ საშველ გზაზე სდგავხარო,
მაგრამ ჩემსა ძებნასა,
ვიცი ამაოთ დახვალო;
როგორც ცარიელი მოხვალ,
უკანვე ეგრე წახვალო:
იქნება ველარც წახვიდე,
თავს ნუ წააგებ, საწყალო;
გნახვენ, შენც დაგატყვევებენ
და შეიქნები საბრალო;
თუნდა რომ ვერც დაგიჭირონ,
მეც ჩემს დედმამას წამგვარო,
მე და ის ჩემი დობილნი
თუ გინდ ერთმანეთს შეგვყარო,
ის შენი თემი და არე
ჩემის ნახვითა ახარო,—
იდუმალ გამოვიპარვი
და აქვე მოვალ ქმართანო;
ძმაო, ნურა გზით ეცდები
ქმარსა და შვილსა გამყარო,—
სიცოცხე ვარმად მექცევის
შავათ და ბნელათ სამყარო.
ამნაირათ დავაბარე
ეს პასუხი მოციქულსა:
ჩემთვის ნურცა თავს მოიკლამ,
ნურცა შეიწუხებ სულსა.
ჩემს ქმარ-შვილს თავს ვანაცვალებ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკვდართ ჩავბერავ ჩემსა სულსა;
თეთრ ყორანს ვინღა შეხვდება
საუკუნოთ დაკარგულსა;
წყაროს წყალს ვინღა გაარჩევს
დიდსა ზღვაში შერეულსა.
ბერას ეგრე შეუთვალე,
დავაბარე მას ხევსურსა.
ესღა მითხრა და წავიდა:
დაო, რათა ჰკარგავ რჯულსა.
ეხლაღა თქვენცა მიხვდებით,
ვის თქვენი სისხლი უღვრია,
ვინც დაგცემიათ ღალატით,
უწყალოდ თავი უჭრია.
მაშინ ღა მიჰხდნენ ქისტები,
თითზედ კბენანი უწყიათ:
ბერაი რას მოგვაგნებდა,
ეგ თამარიძეს უქნია;
რათ შევირიგეთ ხევსური,
დაუნდობელი გურჯია.
სთქვეს: ნეტავ კვალად მოვიდეს,
კარს მოგვაყენე მტრადაო,
შენც გასძეხ ჩვენი სისხლითა
სიკეთის მაგივრათაო.
ჩვენც გიზამთ სამაგიეროს,
ნუ ჩაგვთვლით დიაცადაო;
ან აქ სადამე მოგასწრობთ,
ან გესტუმრებით მანდაო;
შეგიპყრობთ, წაგიყვანთ ტყვედა,
შამილს მიგყიდით ყმათაო;
აგვავსებს საბოძვარითა,
თეთრს მოგვცემს საჩუქრათაო,
იქნებით გიაურები
ლეკების მსახურადაო.
ფიცხნი ვართ ქისტნი ღილღველნი,
ჯავრსა არ შევჭამთ მტერთასა,
ეგრე არ მოგერიდებით,
ვით ლომი ძაღლთა ყეფასა;
პირდაპირ მოდით, ნუ მალვით,
ტანზედ აბჯარი გვეცვასა;
თუ თქვენ გვაჯობოთ, მკლავზედამც
თუ ხართ თქვენების დამხსნელნი,
მაშინ გაიგებს ქვეყანა,
ვისი გაქრების სანთელი,
ვისი რა დედა ტიროდეს,
შვილსა იგლოვდეს გამდელი.
ბევრი გავგზავნეთ ამ სოფლათ
იმ სოფელს მთიელ-ქართველი,
ბევრიც დაღისტანს გავყიდეთ
ქიზიყელი და ქართლელი.
თუ ცოცხლები ვართ, არ მოვკვდით,
ბერავ და თამარიძეო,
რაც ტყვენი გაგვიყიდნია,—
თქვენც ივლით იმათ რიგზეო.
უამბეს თამარიძესა,
მოვიდა ომის ჟინზეო;
ჩოხელს იბარებს ბერასა,
ეგებ ჩქარ მომიხვიდეო,
ქისტები გვემუქრებიან,
არ გვისვენებენ კიდეო.
რა ესმა ჩოხელს ბერასა

სკრიპკის დამკვრელი თამარ ძნელაძე.
ხშირად იღებს მონაწილეობას სხვა და სხვა საქველ-მოქმედო კონცერტებში. ეხლა ტფილისში აპირებდა კონცერტის გამართვას, მაგრამ დედის გარდაცვალების გამო, გადაიდო.

ვიოლონჩელის დამკვრელი ი. აბაშიძე
გამართა კონცერტი ქუთაისში და ტფილისშიაც აპირებს გამართვას.

ხანჯალი დავცეთ გულშია.
ერთხანად თამარიძესთან
ღილღველთა შემოუთვლია:
თუ ქისტთაც ვერ გადგიხადონ,
თავიმცა ქვაზედ უხლია.
შე გველო, დაუნდობელო,
ხევსურო, არამზადაო,
გენდენით, შემოგირიგეთ,
გაგეფიცენით ძმადაო,
ვით შენს ქვეყანას, ღილღოში
დახვიდდი უშიშრადაო.
დაგსვით, გასვით და გაჭამეთ,
ლხინი გიჩვენეთ გრძლადაო,
ჩვენ ძვირი ფასით გიშოვეთ,
შენ გვყიდი იაფადაო,
ვინმე ჩოხელი ბერაი
მარჯვენა ნულარ გვებასა,
ნუმც გვიტირებენ დედანი,
ნუმცლა ვინ გვეტყვის ქებასა;
ღილღოსა კოშკნი წაგვექცეს,
ცეცხლიმც ჩაგვექრეს კერასა.
გირჩევნით, თავსა უფრთხილდით,
ძებნას ეხსენით ტყვეთასა.
ტანზედ გვარტყია ფრანგული,
ძვალის ყველივით გამჭრელი,
მხარზედ გვკიდია ყირიმი,
ვაჟი თორლაის ნაჭერი,
ცოლად გვყვავს ლამაზი ქალნი,
ტყვედ თქვენი გუდა-მაყრელი,
ბევრიცა სხვანი ტყვები გვყავს,
არაგველი და ქართლელი.
მოდით, პირდაპირ შეგვებით,
ძმობილის შემონათვალი,
დიდხანს აღარ დაახანა
მუდამ საომრათ მზად არის,
ქისტებზედ გალესილია,
ვით მკათათვეში ნამგალი.

(დასასრული იქნება)

ია კარგარეთელი.



რედაქტორ-გამომცემელი **ი. ს. აგლაძე** ელექტრო-მბეჭდავი **მ. დ. კიკნაძისა**, ტფილისი, ელისაბედის ქ., № 17.